

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/61

ქ. თბილისი

11 სექტემბერი 2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის WES 7 20 0000778305 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების „იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 აგვისტოს N01-428/ო ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული დანართი 38-ით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ზოგადი რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფის და ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დამტკიცებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა დანართი 1-ის სახით.
2. ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით და კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ზოგადი რეკომენდაციების ჯეროვნად შესასრულებლად და ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობების განსახორციელებლად, გამოყოფილ იქნან შემდეგი პასუხისმგებელი პირები:
 - დახურული სივრცის პერიოდული ვინტილირება - **ჯემალ ინაური, ტარიელ დოლიძე**
 - სადეზინფექციო სამუშაოების შესრულება - **ნინო მარტიაშვილი, მარინა ტალიკაშვილი, ირმა მერებაშვილი**
 - რესპირატორული და ტემპერატორული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში საიზოლაციო ოთახში გადაყვანაზე, აგრეთვე, საიზოლაციო ოთახის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი - **თეიმურაზ ზაქარეიშვილი**
 - სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა, დასაწყობება და გაცემა - **გია ჩიხრაძე**
 - სასწავლებლის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა - **ალექსი ბედოიძე**
 - სასწავლებლის ტერიტორიაზე მყოფ პირთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (მათ შორის: სამედიცინო ნიღაბი, ხელთათმანი და სხვ.) გამოყენების კონტროლი - **ზედამხედველობის ჯგუფი გიორგი ჩიხრაძე, გიორგი სიხუაშვილი, თამარ გეგელაშვილი, მათა სალია**

➤ ვიზიტორების ტემპერატურულ/რესპირატორულ სიმპტომებზე კონტროლი - **თემურაზ ზაქარეიშვილი, ვაჟა სიხუაშვილი, ჯემალი ინაური**

➤ სასწავლებლის შენობაში რეკომენდაციების შესაბამისად, დისტანცირების კონტროლი - **გია სიხუაშვილი**

3. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

4. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

5. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და
რეაგირების გეგმა



ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

დამტკიცებულია რექტორის მიერ
ბრძანება N01-01/ 61 11 სექტემბერი, 2020

თავი I - ზოგადი ინფორმაცია

მიზნობრიობა

შპს თბილისის გურამ თავართქილაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების საგანგებო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიო პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების გაწერა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგად რეკომენდაციებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციებს.

COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

ზოგადი რეკომენდაციების დაცვა:

- დაიცავით სავალდებულო უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრისა), მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს, ხელის ჩამორთმევას;
- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან ხელის დეზინფექციისთვის გამოყენეთ სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით;
- დაიცავით რესპირატორული ეტიკეტი ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი;
- გამოყენებული ხელსახოცი მოათავსეთ სატერფულიან დახურულ ნაგვის კონტეინერში;
- დახურულ სივრცეში გამოიყენეთ ნიღაბი და/ ან პერსონალური დაცვის საშუალებები;
- გაეცანით და შეავსეთ სავალდებულო კითხვარი (**დანართი 1**);
- დაიცავით იდს-ის (ინდივიდუალური დაცვის საშუალები) გამოყენების და უსაფრთხო მოცილების წესი (**დანართი 2**);
- სასწავლებლის ტერიტორიაზე შესვლისას დაიცავით 2 მეტრიანი უსაფრთხო დისტანცია;
- შესასვლელთან განთავსდეს დეზობარიერი,სადეზინფექციო ხსნარები შესაბამისი სავალდებულო, მაფრთხილებელი და საინფორმაციო ნიშნები;
- პედაგოგთა/სტუდენტთა თანამშრომელთა და ვიზიტორთა დაშვება მოხდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.(ნიღაბი,საჭიროების შემთხვევაში სახის ფარი/დამცავი სათვალე);
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულებაში პირბადის რეზერვის არსებობა;

- სასწავლებელში შესვლისას სტუდენტებს,აკიადემიურ და ადმინისტრაციულ პირებს,ასევე ვიზიტორებს ჩაუტარდეს თერმოსკრინინგი;
- ბრძანებით დაინიშნოს პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება სასწავლებლის ტერიტორიაზე შესვლამდე განახორციელოს დასაქმებულთა და სტუდენტთა თერმოსკრინინგი;
- მოახდინოს ვიზიტორთა მონაცემების და ტემპერატურული რეაქციის ასახვა თერმოსკრინინგის ჟურნალში (დანართი 6);
- უნივერსიტეტში ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის გამოიყოს დაყოვნების (ცხელების) ოთახი, მაფრთხილებელი ნიშნით „შესვლა აკრძალულია“,სადაც განთავსდება რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირი;
- ცხელების ოთახის ყოველი გამოყენების შემდეგ განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები და ოთახის ბუნებრივი ვენტილაცია;
- შესასვლელში და შენობის სივრცეებში ისეთ ადგილზე სადაც მაღალია ვირუსის გავრცელების რისკი განთავსდეს COVID-19 შესახებ საინფორმაციო ბანერები,მიმართილებელი და მაფრთხილებელი ნიშნები;
- სამუშაო სივრცეებში,კაბინეტებში,აუდიტორიაში,ბიბლიოთეკაში განთავსდესხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარები და მათი სწორად მოხმარების წესი;
- სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღიჭურვოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი სატერფულიანი დახურული კონტეინერებით,რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელის დაბანა გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჯარა,თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცი);
- სამუშაო ადგილებზე განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- სამუშაო სივრცის, სანიტარული წერტილების დასუფთავება და დეზინფექცია განხორციელდეს შემუშავებული გეგმის და დროის მონაკვეთებში;
- ჩატარებული სადეზინფექციო და სანიტარული დამუშავება აისახოს სპეციალურ განკუთვნილ ჟურნალში (დანართი 7);
- განხორციელდეს ნარჩენების დროული გატანა, შემუშავებული უსაფრთხოების წესის დაცვით (დანართი 3);
- განხორციელდეს ოთახების და დახურული სივრცეების პერიოდული ბუნებრივი ვენტილაცია;
- სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში დაცული იქნას არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია,ხოლო მაგიდების პირისპირ განლაგების შემთხვევაში 2 მეტრიანი დისტანცია;
- დასაქმებულებს ჩაუტარდეთ შესაბამისი სწავლება /ინსტრუქტაჟი

თავი II -რისკების შეფასება

რისკების შეფასების პროცესი ჩატარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით (SARS, SARSCoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციის თანახმად. კონტოლის მექანიზმების შემუშავება წარმართა საერთაშორისოდ აპრობირებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული კონტროლის იერარქიის მიხედვით:

კონტროლის იერარქია



თავი III - კონტროლის მექანიზმები

ზემოთ ხსენებული იერარქიიდან COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი გამოიყენებს სამ საფეხურს: „საფრთხის იზოლირება,“ „უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურები,“ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.“

საფრთხის იზოლირება

1. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან

ამ რისკ ჯგუფში შევა ყველა სტუდენტი, დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღნიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

დანართი 1 - ში მოცემული კითხვარი დაურიგდება პერსონალს. მასზე ინფორმაცია ზეპირსიტყვიერად

- საგანგებო ინსტრუქტაჟის ფარგლებში და ასევე წერილობით - შიდა გავრცელების საშუალებებით გაუზიარდება დაწესებულების ყველა თანამშრომელს. დაწესებულების ტერიტორიაზე შემოსულ ყველა

პირი ვალდებულია შეავსოს აღნიშნული კითხვარი და რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში არ დაიშვება დაწესებულების ტერიტორიაზე.

2. ტემპერატურის გაზომვა დისტანციურად სამუშაოს დაწყების წინ განხორციელდება პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი ტემპერატურის გაზომვით და გამოკითხვით. ამ მიზნით, მონაცემები აღირიცხება ჟურნალში, სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ტემპერატურული რეაქცია.

- შემდგარი კონტაქტი ავადმყოფ და ინფექციაზე საექვო პირთან.

რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა.

3. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში :

სპეციალური იზოლირებული ოთახის / სივრცის გამოყოფა.

- თუ სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოსვლისას თერმოსკრინინგის დროს პირს დაუფიქსირდა ტემპერატურა ან რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები მისი გადაყვანა უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ „ცხელების ოთახში“, რომლის გამოყოფილია უცხო პირთა შესვლის ამკრძალავი ნიშნით;

- სავარაუდო ინფიცირებულის ოთახში გადამყვანი თანმხლები პირი აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - რესპირატორი/პირბადე, ხელთათმანები,)დაიცვას მინიმუმ 2 მეტრის დისტანცია.

- პირის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა უნივერსიტეტის ექიმს,რომელის მოახდენს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას.

- განმეორებით ჩაუტარდება ტემპერატურის გადამოწმება ვერცხლისწყლის თერმომეტრის გამოყენებით.

- ცხელების და რესპირატორული გამოვლინების ასახვა მოხდეს ცხელების რეგისტრაციის ჟურნალში **(დანართი 9)**.

- საექვო შემთხვევაში გამოიკვლევს პირის ყველა ახლო კონტაქტს (თანამშრომლებთან) და ამ მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს.

- დაფიქსირებული შემთხვევის შესახებ ეცნობება 112-ს შემდგომი ოპერატიული რეაგირებისთვის.

- „ცხელების ოთახში ”განთავსების შემდგომ, ჩატარდება ოთახის სრული დეზინფექცია და ბუნებრივი ვენტილაცია

4. სამუშაო სივრცის, სანიტარული წერტილების დასუფთავება და დეზინფექცია განხორციელდეს შემუშავებული გეგმის და დროის მონაკვეთებში, რომელიც დაფიქსირდება სპეციალურ განკუთვნილ ჟურნალში (დანართი 7);

5. პერმანენტულად განხორციელდეს სასწავლებლის სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია.

6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელის დაბანა გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჯარა,თხევადი საპონი და ხელის გასამშრალეელი ერთჯერადი ხელსახოცი); ასევე ხელმისაწვდომი იყოს ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური ხსნარები;

7. ყველა ოთახში, დერეფნებში, აუდიტორიებში და ბიბლიოთეკაში განთავსდეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი სატერფულიანი დახურული კონტეინერები,რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი.

8. განხორციელდეს ნარჩენების დროული გატანა,შემუშავებული უსაფრთხოების წესის დაცვით;

9. დაცული იქნას შენობაში ქცევის წესები.

პროცედურები

1. ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა გაზიარებულ იქნება მენეჯმენტის ყველა წევრთან. გეგმაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები გაუზიარდეს ყველა თანამშრომელს **დანართი 4** ინსტრუქტაჟის სახით.
2. თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იქნება განცხადებები COVID-19-ის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რათა დასაქმებულებს/სხვა პირებს/ვიზიტორებს/სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის დაწყებამდე
3. ის თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნენ მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენებისათვის;
4. შესაძლებლობის ფარგლებში დაწესდეს შეზღუდვები სამუშაო დროზე;
5. თანამშრომლების და სხვა პირების მიღება სასწავლო დაწესებულებაში განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
6. უზრუნველყოფილ უნდა იყოს ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით არაუმცირეს 2მ, ხოლო სასწავლო აუდიტორიებში არაუმცირეს 1მ.;
8. ხელის ჰიგიენის ჩასატარებლად უზრუნველყავით დაბანა გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჯარა,თხევადი საპონი და ხელის გასამშრალეელი ერთჯერადი ხელსახოცი); ასევე ხელმისაწვდომი იყოს ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური ხსნარები;
- 9.შემუშავდეს არსებულ საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესი (**დანართი 5**). აღნიშნული წესები გაუზიარდეს ყველა დასაქმებულს ინსტრუქტაჟის სახით. ჩატარებული ინსტრუქტაჟი აისახოს ოქმში და გატარდეს ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალში (**დანართი 8**).
10. გაიწეროს მცირე ინსტრუქტაჟი, რომელიც ტრენინგის სახით მიეწოდება თანამშრომლებს.
11. შემუშავდეს დასუფთავების და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების წესი, (**დანართი 3**).
- 12.სამუშაო სივრცის, სანიტარული წერტილების დასუფთავება და დეზინფექცია განხორციელდეს შემუშავებული წესით დაცვით განსაზღვრული დროის მონაკვეთებში, რომელიც დაფიქსირდება სპეციალურ განკუთვნილ ჟურნალში (**დანართი 7**).
13. პერმანენტულად განხორციელდეს სასწავლებლის სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია.
14. ყველა ოთახში, დერეფნებში, აუდიტორიებში განთავსდეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი სატერფულიანი დახურული კონტეინერები,რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი.
15. შემუშავდეს დასუფთავების და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების წესი,დროის გრაფიკით.
21. პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა დაწესებულების მიერ ბრძანებით განისაზღვრებიან შემდეგ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები:
 - - დახურული სივრცის პერიოდული ვინტილირება
 - სადეზინფექციო სამუშაოების შესრულება
 - რესპირატორული და ტემპერატორული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში საიზოლაციო ოთახში გადაყვანაზე, აგრეთვე, საიზოლაციო ოთახის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი
 - სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა, დასაწყობება და გაცემა
 - სასწავლებლის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა
 - სასწავლებლის ტერიტორიაზე მყოფ პირთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (მათ შორის: სამედიცინო ნიღაბი, ხელთათმანი და სხვ.) გამოყენების კონტროლი

- ვიზიტორების ტემპერატურულ/რესპირატორულ სიმპტომებზე კონტროლი
- სასწავლებლის შენობაში რეკომენდაციების შესაბამისად, დისტანცირების კონტროლი

გამოცდის ჩატარება

- გამოცდაზე სტუდენტების მიღება უზრუნველყოფილ იქნება იმგვარად, რომ დაკავებული იყოს სამუშაო ფართის 50%;
- მაგიდების განლაგებისას გამოიყენება შემდეგი პრინციპი: სამუშაო სივრცის ყოველ 5მ² ფართობზე დაუშვებულ იქნება მხოლოდ 1 (ერთი) ადამიანი;
- არ დაიშვებიან საგამოცდო ცენტრში პედაგოგები და სტუდენტები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;
- სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსდებიან ერთმანეთის პირისპირ;
- სტუდენტების გამოცდაზე მისაღებად გამოიყენება ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებულ იქნება სანიტარული შესვენება;
- საგამოცდო დარბაზის/აუდიტორიის შესასვლელში განთავსდება ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი;

ბიბლიოთეკის ფუნქციონირება

ბიბლიოთეკა მუშაობა განხორციელებს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის შესაბამისად.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება მომარაგებულ იქნას საჭირო ინდივიდუალურ დაცვის საშუალებები -პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ბახილები, ხალათები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები. აღნიშნული იდს განთავსდეს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, რამოდენიმე ხელმისაწვდომ ადგილზე, მათი ჩვენების, მოხმარების, გამოყენების და მოცილების წესი (იხილეთ დანართი 2) ჩატარდეს მცირე ინსტრუქტაჟი მათი სწორი გამოყენების და უსაფრთხო მოცილების შესახებ.

თავი IV - დასკვნითი დებულება

ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების გატარების შემდეგ ჩატარდება რისკების შეფასება. რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანებასთან სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე. ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი კონტროლების ზედმიწევნით გატარების და მათი მუშაობის რეგულარული მონიტორინგის შემთხვევაში, დაწესებულების დასაქმებულთა/სტუდენტთა COVID - 19 - ით ინფიცირების რისკები ჩამოიწევს - დაბალი რისკის დონემდე.

სავალდებულო კითხვარი!

! თუ ამ კითხვებიდან რომელიმეზე მაინც გაქვთ დადებითი პასუხი, გთხოვთ დაუყოვნებლივ შეატყობინეთ პასუხისმგებელ პირს!

1. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა ვირუსის გავრცელების ქვეყნებში? (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, ჩინეთი, კორეა, ა.შ.შ.)
2. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა წითელ ზონად გამოცხადებულ მუნიციპალიტეტებში?
3. ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ თუ არა კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან?
4. აღგენიშნებათ თუ არა რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.)?
5. მიეკუთვნებით თუ არა COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, და/ან ქრონიკული დაავადებების (გულსისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები)?

**ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხმარების წესი
პირბადის მოხმარების წესი**

1. პირბადის გაკეთების წინ სასურველია ხელების საპნით დაბანა ან სპირტისშემცველი ხსნარებით დამუშავება. გამოყენებულ ნიღაბთან შეხების შემდეგაც მოიქცით ანალოგიურად.
2. ერთი პირბადით მხოლოდ ერთმა ადამიანმა უნდა ისარგებლოს. აუცილებელია გახსოვდეთ, რომ ერთჯერადი ნიღბის გამოყენების ვადა 1-2 საათია.
3. გაიკეთეთ პირბადე ისე, რომ ის მჭიდროდ ფარავდეს ცხვირს, პირსა და ნიკაპს.
4. დაბინძურებისთანავე შეცვალეთ ნიღაბი ახლით და არ ისარგებლოთ გამოყენებული ნიღბით განმეორებით.
5. გამოყენების შემდეგ მოიხსენით ნიღაბი ყურებზე მოთავსებული რეზინის სამაგრებით ან უკანა თასმების მეშვეობით (არ შეეხოთ ნიღბის წინა ნაწილს). მოხსნის დროს მოკეცეთ პირბადე შიგნითა ზედაპირით.
6. მოხსნისთანავე ნიღაბი გადაადგეთ უახლოეს მანძილზე განთავსებულ დახურულ ნაგვის ურნაში, ხოლო მრავალჯერადი გამოყენების ნიღაბი შეინახეთ სპეციალურ ინდივიდუალურ კონტეინერში, მის შემდგომ დამუშავებამდე.
7. ნიღბის მოხსნის შემდეგ დაიბანეთ ხელები საპნით ან დაიმუშავეთ სადეზინფექციო ხსნარებით.
8. **სამედიცინო ნიღბის ცისფერი მხარე- ჯანმრთელ ადამიანს იცავს სნეულის დაცემინების დროს გამოყოფილი ლორწოს წვეთებისგან, ხოლო სამედიცინო ნიღბის თეთრი მხარე ფილტრია, რომელიც მიკრობებისთვის ბარიერის შემქმნელია. ამდენად, თუ ნიღბის თეთრი მხარე თქვენი სახისკენაა მოქცეული და ცისფერი გარეთაა, ნიშნავს, რომ გაციებული ხართ და საკუთარი მიკრობებისგან გარშემომყოფთ იცავთ. თუ ნიღბის ცისფერი მხარე თქვენი სახისკენაა მიმართული და თეთრი მხარე გარეთაა, ჯანმრთელი ხართ.**

გახსოვდეთ, რომ:

! ნიღბის დანიშნულება ბაქტერიებისგან ორგანიზმის დაცვაა, თუმცა პირბადის არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა, დაავადების რისკი შემცირების ნაცვლად გაზარდოს.

სახის დამცავი ფარი

სახის დამცავი ფარი გამოიყენება აერწვეთოვანი გზით გადამდები ინფექციისგან ცხვირის, პირის და თვალის ლორწოვანის დასაცავად.

- სახის დამცავი ფარით კომფორტულად - დაფარეთ სახე წარბებამდე, მოირგეთ ყურზე (თუ აქვს შესაკრავები შეიკარით თავზე).
- გამოყენების შემდეგ გარეცხეთ თბილი საპნიანი წყლით ან დაამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარით.

ერთჯერადი ხელთათმანი

ხელთათმანის ჩაცმის ტექნიკა:

- დაიბანეთ ან დაიმუშავეთ ხელები ჰიგიენური წესით.
- შეარჩიეთ საჭირო ზომის ხელთათმანი.

- ჩაიცვით ხელთათმანი ჯერ დომინანტურ ხელზე და შემდეგ არადომინანტურ ხელზე.

! გახსოვდეთ, ხელთათმანი არ არის ხელის დაბანის ალტერნატივა, შესაბამისად ხშირად აწარმოეთ ხელის ჰიგიენა.

ხელთათმანის გახდის ტექნიკა:

- პროცედურის დასრულების შემდეგ გაიხადეთ დაბინძურებული ხელთათმანები.
- დომინანტური ხელით შეეხეთ არადომინანტური ხელის ხელისგულს ან ხელთათმანის სამკლავურს/მანჟეტს ხელისგულის მხრიდან, გადმოაბრუნეთ ხელთათმანის დაბინძურებული მხარისკენ და მოაქციეთ დომინანტური ხელის მუჭში.
- იმ ხელის, რომელზეც აღარ გაცვიათ ხელთათმანი, ორი თითი შეაცურეთ ხელთათმანის სამკლავურის/მანჟეტის ქვეშ ისე, რომ არ შეეხოთ ხელთათმანის დაბინძურებულ გარეთა მხარეს.
- ხელთათმანი გადმოაბრუნეთ ისე, რომ გაკეთდეს ჩანთა, რომელშიც მოაქცევთ პირველად გახდილ ხელთათმანს.
- ხელთათმანები მოათავსეთ უახლოეს მანძილზე განთავსებულ დახურულ ნაგვის ურნაში.
- პროცესის დასრულების შემდეგ აწარმოეთ ხელის ჰიგიენა.

დასუფთავების განხორციელების წესი

- დასუფთავება განხორციელდეს სამუშაო დღის განმავლობაში 3-ჯერ, კერძოდ: პირველი დილით თანამშრომელთა მისვლამდე 9-10 სთ. დროის მონაკვეთებში, დღის ბოლოს 15-16 სთ. დროის მონაკვეთებში და სანიტერული შესვენება იქნება 12-13 სთ. დროს მონაკვეთებში.
- დასუფთავება უნდა შესრულდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით. (პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანები)
- პროფილაქტიკური დასუფთავების ჩასატარებლად საკმარისია წყლისა და საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებების გამოყენება.
- სადეზინფექციოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქლორის შემცველი საყოფაცხოვრებო ხსნარის განზავებული კონცენტრაცია. ქლორის მინიმალური კონცენტრაცია უნდა იყოს 5000 ppm ან 0.5% (5%-იანი ქლორის შემცველი თხევადი ხსნარის 1:9 განზავების ექვივალენტი).
- ზედაპირების დასუფთავების მიზნებისათვის მიზანშეწონილია 0,1%-ი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის (ანუ ნეიტრალური სარეცხი საშუალება) გამოყენება (განზავება 1:50 თუ გამოყენებულია საყოფაცხოვრებო მათეთრებელი 5%-იანი კონცენტრაციით).
- იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შედეგად, შესაძლოა 60-70%-იანი კონცენტრაციის ეთანოლის, ან სხვა სპირტშემცველი ხსნარების გამოყენება.
- განსაკუთრებით კარგად უნდა გაიწმინდოს ისეთი ზედაპირები, რომლებთანაც ხშირად ხდება შეხება. (კიბის მოაჯირები, ჩამრთველები, კარ-ფანჯრის სახელურები, ლიფტის ღილაკები).
- სანიტარულ საათებში განხორციელდეს დეზობარიერების დამუშავება/დასველება სადეზინფექციო ხსნარით.
- დასუფთავების შემდეგ აუცილებელია ობიექტის განიავება.
- მრავალჯერადი გამოყენების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სამუშაოს დამთავრების შემდგომ უნდა იყოს დეზინფიცირებული (მაგ: 0.1%-იანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტი ან 60-70%- იანი ეთანოლი).
- პროცესის დასრულების შემდეგ აწარმოეთ ხელის ჰიგიენა.

ჰიგიენური ნარჩენების შეგროვების და გატანის წესი

- ჰიგიენური ნარჩენების შეგროვების და გატანის პროცესი უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით. (პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანები)
- ნარჩენების გატანის პროცესი განხორციელდეს სანიტერული შესვენების დროის მონაკვეთში 12-13 სთ. და დღის ბოლოს 15 -16 სთ. დროს მონაკვეთებში.
- ნარჩენებისთვის განკუთვნილ თავდახურულ კონტეინერებში მოთავსდეს ერთჯერადი გამოყენების ცელოფნის/ნეილონის პარკი, შემხებლობის შემცირების მიზნით.
- დახურული კონტეინერებიდან ნარჩენების გატანა განხორციელდეს სანიტერული შესვენების პერიოდში და დღის ბოლოს.
- დახურული კონტეინერის დაცლის დროს მისი შიგთავსი თავსდება პოლიეთილენის 2 (ორი) გამძლე თავმოკრულ პაკეტში და გაიტანება შენობა -ნაგებობის ტერიტორიიდან „არასახიფათო“ ნარჩენებთან ერთად.
- პროცესის დასრულების შემდეგ აწარმოეთ ხელის ჰიგიენა.

სანიტარული კვანძების დასუფთავების წესი

- სანიტარულ კვანძ(ებ)ში დაცული უნდა იყოს სისუფთავე;
- უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;

- სანიტარიული კვანძ(ებ)ის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
- დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: ხელთათმანები, ნიღაბი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებელია ხელების დაბანა;
- სანიტარიული კვანძ(ებ)ის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, სივრცეში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით. სივრცე უნდა იყოს კარგად ვენტილირებადი

თანამშრომელთა ინსტრუქტაჟის თემატიკა

რა არის კორონავირუსი?

ახალი კორონავირუსი წარმოადგენს იმ ვირუსების ჯგუფს, რომელს თავდაპირველი ადამიანის ინფიცირების წყაროს ცხოველი წარმოადგენს და რომელიც იწვევს რესპირატორულ ინფექციებს, დაწყებული ზოგადი გაციებით, დამთავრებული მწვავე რესპირატორული სინდრომით. ამ ვირუსის ადამიანთა შორის გავრცელება პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში.

როგორ ვრცელდება კორონავირუსი?

- აირ-წვეთოვანი გზით - ხველით, ცემინებით - ინფიცირებულ ადამიანთან 1მ ზე ახლოს მიახლოებით
- თვალზე, პირზე ან ცხვირზე ინფიცირებული ხელის შეხებით - ინფიცირებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა - ფეკალიებთან კონტაქტით - იშვიათ შემთხვევაში

რა არის კორონავირუსის სიმპტომები?

ცხელება ცემინება ხველა სუნთქვის გამწვანება პნევმონია

ვინ არის მაღალი რისკის ქვეშ?

- 70 წელს გადაცილებული ადამიანები - ადამიანები მწვავე ქრონიკული დაავადებებით **როგორ უნდა დავიცვათ თავი?**

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება

- შეინარჩუნეთ არანაკლებ 1მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.

- არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.

- დახველებისას და დაცემინებისას ცხვირზე/ პირზე მიიფარეთ ცხვირსახოცი ან იდაყვი; გამოყენებული ცხვირსახოცი გადაადგეთ

- თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გამწვანება, დროულად მიმართეთ ექიმს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულია ვირუსი ან ექვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.

- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით

- ხშირად განიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.

ყველა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება, მათ შორის:

- ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;
- ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;
- ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- თანამშრომელთა წახალისება, დარჩენენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;
- რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;
- ერთჯერადი ხელსახოცებისა და ნაგვის ყუთების უზრუნველყოფა მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის

COVID-19 საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიის ტერიტორიაზე ქცევის წესები:

- 1) დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში შესვლა პირბადის გარეშე.
- 2) უნივერსიტეტის შენობაში შესვლისას დაიცავით 2 მეტრიანი უსაფრთხო დისტანცია.
- 3) გაიარეთ დეზობარიერი.
- 4) ჩაიტარეთ თერმოსკრინინგი.
- 5) შეავსეთ ტემპერატურული სკრინინგის ჟურნალი (დანართი 6).
- 6) ხშირად დაიბანეთ ხელები 20 წამის განმავლობაში.
- 7) დაიმუშავეთ ხელები ანტისეპტიური ხსნარით.
- 8) უნივერსიტეტის შენობაში გადაადგილების დროს ატარეთ პირბადე და დაიცავით 2 მეტრიანი დისტანცია.
- 9) მოერიდეთ ადამიანებთან ფიზიკურ კონტაქტს(ხელის ჩამორთმევა,გადაკოცნა,გადახვევა...)
- 10) დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი.
- 11) გამოყენებული პირბადე, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სხვა ნარჩენები მოათავსეთ შენობაში განთავსებულ სატერფულიან დახურულ ნაგვის ურნაში.
- 12) სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის ფორმა

ორგანიზაციის დასახელება -----

ინსტრუქტაჟის ჩატარების ადგილი და დრო -----

ინფორმაცია ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესახებ -----

დასაქმებულთა სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----

ინსტრუქტორის სახელი, გვარი ----- ხელმოწერა -----
